№ 5 1888—1896 1—15 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:

შეწევნითა უფლისათა განვიზრახეთ ჩვენ ამა წლის მაისის თთვესა, პირველ-სატახტო ქალაქსა მოსკოვსა შინა, უკეთილმსახურეს ხელმწიფეთა, ჩვენთა მამა-პაპათა, მაგალითებისამებრ, დავიდგათ თავსა ზედა გვირგვინი და მივიღოთ, დადგენილის წესისამებრ, წმიდა მირონ-ცხება, და ჩვენთანვე ზიარ ვყოთ უსაყვარელესი მეუღლე ჩვენი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასული.

მოვუწოდებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა, რომ წინამდებარე სადღესასწაულო დღესა გვირგვინის კურთხევისას გაინაწილონ სიხარული ჩვენი და ჩვენთან ერთად მხურვალე ლოცვა-ვედრება აღმართონ ყოვლისა სიკეთისა მომნიჭებელისა მიმართ, მანმცა მოგვფინოს ნიჭნი სულისა თვისისა წმიდისა, განამტკიცოსმცა ხელმწიფება ჩვენი და წაგვმართოსმცა კვალსა ზედა დაუვიწყარისა მშობელის ჩვენისა, რომლისა ცხოვრება და ღვაწლი ძვირფასის სამშობლოს სასარგებლოდ დაშთება ჩვენდა სამარადისო ბრწყინვალე მაგალითად.

ბოძებულია სანკტ-პეტერბურგსა, პირველსა დღესა იანვრისასა, წელსა შობიდგან ქრისტესა ათასს რვაასს ოთხმოცდა-თექვსმეტსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა მეორესა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

სახელდებულნი უმაღლესი ბრძანებანი.

ბრძანება უმართებელესის სენატის მიმართ.

მანიფესტით, ამა დღეს ბოძებულით, განვაცხადეთ რა ამბავი ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, რომელიც უნდა მოხდეს 1896 წლის მაისის თთვეში, კეთილად მივიჩნიეთ მოვიწვიოთ ამა დროსათვის პირველ სატახტო ქალაქსა ჩვენსა მოსკოვში, ჩვენის ღვთის მიერ განსვენებულ მშობლის დაგვირგვინების მაგალითისამებრ, რუსეთის იმპერიის წოდებათა და სხვათა წარმომადგენელნი, ჩვენ მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ დებულების თანახმად.

უმართებელესი სენატი ნუმცა დააყოვნებს ამის გამო ჯეროვან განკარგულებათა მოხდენას.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია:

„ნიკოლოზ“

ს.-პეტერბურგი.

1-ი იანვარი 1896 წ.

ბრძანება უმაღლესის სენატის მიმართ.

კეთილად მივიჩნიეთ ჩვენ ყოველივე განკარგულება ჩვენისა და საყვარელისა მეუღლისა ჩვენისა ხელმწიფე იმპერატორიცისა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მომავალ წმიდა გვირგვინ-კურთხევის მოსამზადებლად მივანდოთ საიმპერატორო კარის მინისტრსა, ხოლო აღმასრულებელი მოღვაწეობა წმიდა გვირგვინ-კურთხევის დღესასწაულის განსაწყობად — საიმპერატორო კარის ჯეროვან დაწესებულებათ, ისე კი, რომ საიმპერატორო კარის მინისტრთან დაწესებულ იქმნას: 1) საზოგადო დაგვირგვინების საგნების განსაბჭობად — განსაკუთრებული საბჭო, დაგვირგვინების კომისსიად წოდებული, რომელსაც მოიწვევს მინისტრი საჭიროებისამებრ, და 2) ყველა დაგვირგვინების საქმის საწარმოებლადა და გვირგვინის კურთხევის ხარჯის აღსარიცხავად — დაგვირგვინების კანცელარია, საიმპერატორო კარის სამინისტროს მოხელეთაგან შემდგარი.

უმართებელესი სენატი ნუმცა დააყოვნებს ამის გამო ჯეროვან განკარგულებათა მოხდენას.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია:

„ნიკოლაზ“.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირეულ ბამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ქურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ შანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი შოთა რუსთაველის მხატვრობა უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრათ ეძლევათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ.

დავით აღმაშენებელისა

და

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა

რედაქციაში იმექონება 1887 წლიდან დაწყებული «მწყემსი»-ს ყველა ნომრები. ფასი წლიური გამოცემისა ოდით სამ მანეთი. სტამბაში იმექონება ყოველგვარი საეკლესიო საბუთების და სხვა მოწმობათა და გამოწერილობათა ბლანკები იაფ ფასად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ- (მათ. 11 28).

№ 5 **1883—1896** 12 მარტი.

გაზეთის ფასი:

	„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით . . .	3 მან.	12 თვით . . .	5 მან.
6 თვით . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად, უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში, შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

როგორ ვსცეთ პატივი განსვენებულ ჩვენს ძვირფას მწყემსთ-მთავარს გაბრიელს?

მართლა და კარგი დაფიქრება მართებს ყველას ამ საგანზე. როგორც ყოველი კაცი გლოვს მათი მეუფების გარდაცვალებას, ისე ყველანი ცდილობენ პატივი სცენ მათ ხსენებას, მაგრამ ყველანი ფიქრობენ თავისებურად და არა ისე, როგორც რიგია, როგორც ჯეროვანი დ კანონიერია. წინეთ ქუთაისის მღვდლებმა გარდასწყვიტეს, რომ განსვენებული დაესაფლავებიათ გელათის ეზოში და მის საფლავზე აეგოთ სამლოცველო და ამით ეცათ პატივი, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ განსვენებული დამარხულიყო ან დავით აღმაშენებლის სამლოცველოში და ან უმთავრეს ტაძარში. სამლოცველოს აშენება უსარგებლოდ მივიჩნიეთ, რადგან გელათში ორი-სამი ტრა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ჰეზი გაუქმებულია და მწირველი არავინ არის. ამ ხარჯის ნაცვლად ჩვენ ჩვენის მხრით გამოვაცხადეთ, რომ ფულები შეკრებილიყო და ერთი სტიპენდია დაგვეარსებინა ერთ-ერთ სასულიერო აკადემიაში. დღეს გარდაწყვეტილია, რომ განსვენებული გელათის ტაძარში უნდა დაიკრძალოს. მეორე კითხვის შესახებ კი ძლიერ მოიჩქარეს და გადასწყვიტეს ორი ან ერთი სტიპენდია დაარსდეს აკადემიაშიო. ამასთან უცებ მოახდინეს კომისიის დანიშვნა ქუთაისის ქალაქისავე რამდენიმე მღვდლებმა რექტორის თავმჯდომარეობით, დაბეჭდეს კომიტეტის განცხადება, ხელ-მოსაწერი სიები და დაარიგეს უკვე შემდეგი წერილები.

სასულიერო მთავრობის ნებართვით «შესდგა კომიტეტი» განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზე აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათაგან საჭირო ფონდის შესაკრებად. კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,— რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს დიმიტრის.

ამნაირი მოქმედება კომიტეტისა ჩვენ ცოტა მოჩქარებულად მიგვაჩნია. უკან არავინ არ მოგვდევს. ვისაც პატივისცემა სურს განსვენებულისა, ის ყოველთვის შემოიტანს თავის წვლილს. კარგად უნდა იყოს გარკვეული ეხლავე სტიპენდიის თანხის შესაკრებად თუ რამდენი ფულია საჭირო? რომელ აკადემიაში უნდა დაარსდეს სტიპენდია? ვინ უნდა იქნეს გაგზავნილი მაღალ სასწავლებელში ამ სტიპენდიით? შემდეგ სწავლის დასრულებისა რა ვალდებულება აქვს სტიპენდიანტს და რომელ წოდებაში უნდა იმსახუროს? ვინ უნდა აღირჩიოს ეს სტიპენდიანტი? და სხვანი, და სხვანი, და სხვანი... ეხლავე უნდა იყოს ყველა ეს მოფიქრებული და გარდაწყვეტილი, თორემ საზოგადოება დიდ თანაგრძნობას ვერ აღმოუჩენს ამ კეთილ საქმეს, მაგრამ მისთვის გაურკვეველს. ამასთან ისიც უნდა იყოს გარკვეული, თუ სად ინახებოდეს ფული, თორემ არ კმარა მარტო წერილების გაგზავნა და მიწერა: „კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურსთ დაამტკიცონ, რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა“ და სხ. ეს რაა? იქნება ფული არ აქვს კაცს და ვერაფერი შესწირა, შენ კი გაქვს და ამიტომ 25 მანეთი შეიტანე. განა ეს ამტკიცებს, რომ სხვა შენზე ღარიბს ნაკლებ ახსოვს და შენზე მეტათ არ არის მის გულში ცხოველი სიყვარული?...

თუ ეს წერილი იმერეთის სამღვდელოებისადმი არის მიქცეული, ჩვენის აზრით, შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. იმერეთის სამღვდელოებამ მშვენიერი და შესაფერისი მოსახსენებელი ძეგლი აუგო საყვარელს მღვდელ-მთავარს. თავისი ღარიბი ჯიბისაგან დღეს ეს სამღვდელოება ყოველ წლობით ოთხი ათას მანეთს იხდის და უნდა იხადოს ათი წლის განმავლობაში საუკუნო თანხის 50 ათასი მანეთის შესადგენად. ამ სამღვდელოებამ დაარსა თავისი საყვარელი მღვდელ-მთავრის სახელობაზე ქალების სასწავლებელი და მოხსენე-

ბულ ფულების გარდა ეოველ წლობით იხდის სხვა-და-სხვა წყაროთაგან რვა ათას მანეთს. ამისათვის უადგილოთ მიგვაჩნია რომ იმერეთის სამღვდელოებას ვუთხრათ: «თუ თქვენს გულში ცხოველ არს პატივისცემა განსვენებული მღვდელ-მთავრისა ფულების შემოტანით დაამტკიცეთო»...

საჭიროა სტიპენდიატის საბოლოო სამსახურის გარკვევაც, ვთქვათ გამოზარდეს ვინმე ამ შეკრებილი თანხით, შეირთო ცოლი და გიახლათ საშობლოში. რადგან აქ ადგილი ვერ იშოვა გადვიდა საერო წოდებაში «აკციზნი ჩინოვნიკად». სარჯი წავიდა, ეკლესიამ და სასულიერო წოდებამ რა შეიმინა? როგორც გინდა, ჩემო მკითხველო, ისე სთქვი მაგრამ, მე კიამას გეტყვი, რომ საჭიროა ესლავე იქნეს გამოცხადებული სავალდებულოდ სასულიერო სამსახურის ასპარეზი ამ სტიპენდიანტისათვის..

ზოგს გონია, რომ თუ ერთი ან ორი სტიპენდია დავაარსეთ განსვენებულის სახელზე ამით ეველა საქმეს შოვრჩებით და ამაზე მეტი პატივის ცემა საჭიროც აღარ იეოს. მაგრამ ეს შემცდარი აზრი არის. მშვენიერი მოსაზრება არის დასტამბული «ივერიაში». ამ საგნის შესახებ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან. მოვიეეანთ აქ ზოგიერთ ადგილს:

განსვენებულის მთავარ-მწყემსისათვის რომ ვისმეს ეკითხნა სიცოცხლის დროს: რა უფრო ყველაზედ საჭიროა საქართველოს აეეავებისა და ბედნიერებისათვის, იგი მიუცილებლად უპასუხებდა: დანერგვა ყველა ქართველში ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ნამდვილი განათლებისა.

ხოლო ვიკითხოთ ახლა: რა ღონის ძიებით უფრო შესაძლოა ეს დანერგვა, რომელიც ყველა ქართველს გახდის მეტ-ნაკლებობით მონაწილედ იმ მთავარის ღირსებისა, რომელიც ამშვენებდა მნათობს საქართველოს ეკლესიისასა?

დაასახელეს სტიპენდიების დაარსება, სკოლის გახსნა განსვესებულის სახელობაზედ. ერთიც კარგი ღონისძიება გახლავთ და მეორეცა. და ვინც თავისს წვლილს არ დაიშურებს ამ საქმისათვის, დიდი მადლობის ღირსი იქნება, მაგრამ მარტო ესენი საკმარისნი არ არიან. მოგეხსენებათ, რომ უდაბნოს მცირეოდენი წამოწვიმა და ისიც პატარა ადგილზედ ვერ აამწვანებს, ვერ ააყვავებს. უდაბნო შეიძლება გაცოცხლდეს და დანაყოფიერდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მ.სზედ ზეცა კიდითი-კიდე დაასხამს მსხვილსა და შხაპუნა წვიმასა. აქაც ასეა. მხოლოდ იმისთანა ღონისძიება მიგვწევს წადილსა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ქართველისათვის, შესძლებს ესტუმროს საკუთარს სახლში ყველა იმერსა და ამერსა და ააღორძინოს ववელგან სარწმუნოება და ცოდნა.

რა ღონის ძიებაა ამისთანა? ჩემი აზრით, ეს გახლავთ სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულს ენაზედ, განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი განამტკიცებენ სარწმუნოებასა და ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა, განათლებასა,..

ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის, თუ რა მდიდარი იყო წინა საუკუნოებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში. მარტო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვითშვიდი ათასს ტომსა, უმეტეს ნაწილად სასულიერო შინაარსისა. ახლა? ახლა კი უბრალო კატეხიზმოც არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებასაც ვერ გაიცნობს ვრცლად ქართველი კაცი თავისს დედაენაზედა და მოკლე „უჩებნიკების“ ამარად ვართ დარჩენილი. ღვთის მეტყველება დოგმატიური და ზნე, ობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა. სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქცეული, იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალ დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები. საერო მწიგნობრობაც ძლიერ ღარიბი გვაქვს. წინა საუკუნოებში მეტაფიზიკიდგან დაწყებული ბუნების მეტყველებამდე ყველა მეცნიერება მოიპოვებოდა ჩვენს ენაზედა. ეხლა კი მსოფლიო

ისტორიას და საზოგადო გეოგრაფიასაც-კი დანატრულია ჩვენი ლიტერატურა, რის გამო საერო სასწავლებლების ქართველი მოწაფენი სრულიად მოკლებულნი არიან ღონეს თავის ენაზედ იკითხონ სკოლას გარედ ისა, რასაც კლასში სწავლობენ მხოლოდ რუსულს ენაზე. დიდები ხომ კიდევ უარესს მდგომარეობაში ვართ.

დიალ, ჩვენი მეცნიერი არქიერის სამუდამო სახსოვრად საუკეთესო ძეგლი იქნება აღორძინება და გამდიდრება მისი სახელით ჩვენის ლიტერატურისა სასულიეროსი და საეროსი დარბაისლური, კლასიკური თხზულებებითა, რომელთაგან ზოგი გადმოითარგმნება და ზოგი დაიწერება ქართველ მსწავლულთაგან. ხოლო ეს იმდენად ძნელი და რთული საქმეა, რომ მას ვერ იკისრებს ვერც კერძო პირი და ვერც რომელიმე ახლანდელი საზოგადოებრივი დაწესებულება. აქ საჭიროა მონაწილეობა მთელის ქვეყნისა, დახმარება ყოველ შეგნებულის ქართველისა შეძლებისამებრ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შესდგეს ჯეროვანი თანხა. საძირკვლად ამ თანხას უნდა დაედოს ის ფული, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოებას გამოუგზავნიან განსვენებულის მემკვიდრეები იმ ქონებიდგან, რომელიც გადურჩება ანდერძის ასრულებასა. ისევე საზოგადოება იკისრებს, უეჭველია, ამ საქმის გაძღოლასა და შეკრებილი თანხით ბეჭდავს ღირსეულს თხზულებებს ქართულს ენაზედ ამ ზედ წარწერით: **გამოცემული გაბრიელ ეპისკოპოსის თანხით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ.**

ერთ დროს განსვენებული მღვდელ-მთავარი გაბრიელი შემობრძანდა სამღვდელოების კრებაზე და სხვათა შორის, როდესაც კითხვა ჩამოვარდა ხალხის ზნეობის ამაღლების შესახებ, აი რა ბრძანა: პირველად, რომ რაჭაში მივედი სარევიზიოთ 1860 წ. და ხალხის სარწმუნოების და ზნეობის მდგომარეობას რომ დავაკვირდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა. მე ვნახე იქ ჭეშმარიტად პირველი საუკუნის ხალხი მტკიცენი სარწმუნოებაზე და ქრისტიანულ ზნეობაზე. ერთი-ერთმანეთის ძმური სიყვარული, მეგობრობა, მოყვასთა გატანა, საწყალთა შებრალება და სხვა კეთილი ქრისტიანული თვისებანი ძლიერ თვალ-საჩინოდ სჩანდა. ქურდობა, კაცის კვლა და გარყვნილება ძლიერ იშვიათი საქმე იყო. ოც-და ხუთი წელიწადი ვუქადაგებ ამ ხალხს მას აქეთ და მგონია, თუ კიდევ გაუმჯობესდებოდა ხალხის ცუდი ზნე-ჩვეულება. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ ოც-და ხუთი წლის შემდეგ მე ვნახე ეს ხალხი და ვეღარ ვიცანი. აქ გაძლიერდა კაცის კვლა, ქურდობა, მტაცებლობა და სხვა არა ქრისტიანული თვისებანი. დღეს ამ ხალხმა ამ მხრით კიდეც გადააჭარბა სხვა დაქვეითებულ მაზრებს... რისი ბრალია ეს, მამანო? ამ კითხვაზე დაფიქრდა, თითქმის ცრემლი მოუვიდა და სთქვა: ეს ალბათ ჩემი ცოდვის ბრალია!.. მთელი კრება გაკვირებული ისმენდა მწყემს-მთავრის სიტყვებს.

ამ შესანიშნავ სიტყვებს, უნდა ვსთქვათ გამოტეხილად, განმარტება არ ეჭირვება. ვისაც სმენა აქვს, კარგათ მიხვდება თვითონ, რა არის საჭირო ჩვენ ხალხში სარწმუნოების და კეთილ ზნეობის აღსადგენად. არასოდეს არ ყოფილა, ღვთის მადლით, ჩვენში ამდენი ნასწავლნი პირნი, მაგრამ, თუ საქმეს ჩავაკვირდებით კარგად, ხალხში სარწმუნოების და ზნეობის საქმის მდგომარეობას დიდს სანუგეშოს ვერ შევამჩნევთ. საჭიროა, საჭირო მიუცილებლად ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო და თვითონ მივაჩვიოთ ამ საზრდოის კეთილად ხმარებას, თორემ ერთი და ორი და თუ გინდ ათიც მქადაგებელი საქმეს ვერ წასწევს წინ, როგორც ორი და სამი მერცხალი გაზაფხულს ვერ დააყენებს. მიუცილებლათ საჭიროა, საჭირო ხალხში გავრცელდეს სასულიერო შინაარსის წიგნები, და თუ ამას მოვახდენთ ჩვენის დაუვიწყარის მღვდელ-მთავრის სახელით, ეს იქნება სწორეთ ყველაზე უკეთესი პატივისცემა.

სტიპენდიის დაარსება კარგი საქმეა, მაგრამ იმდენი სასარგებლო და საპატიო არ იქნება, როგორც ზნეობრივი და სარწმუნოებრივი წიგნების ხალხში გავრცელება. აკადემიელებიც ბევრია დღეს, ღვთის მადლით, და უნივერსიტეტში კურს დამთავრებულებიც, მაგრამ სარწმუნოების და ხალხის ზნეობრივ საქმეს მაგდენს არ შველის. უმთავრესი მათი ცდა და ყურადღება ჯამაგირების გადიდებაზეა მიქცეული და შემდეგ იმედია დანარჩენზე იზრუნებენ, მაგრამ როდის, ეს აღარ ვიცით...

საყურადღებო ამბები

წლის გასულს სწორედ რიგია კაცმა ყურადღება მიაქციოს, თუ რა მისცა და მიანიჭა წარსულმა წელმა ხალხს, საზოგადოებას, სახელმწიფოს ⸗ მთელს კაცობრიობას და რას უნდა მოველოდეთ მომავალი წლიდან.

სარწმუნოების მხრით წარსულს წელში ევროპის ხალხთა შორის ყურადღება მიიქცია ერთმა შესანიშნავმა სურვილმა—ყველა მორწმუნე ქრისტიანეთა სარწმუნოების მხრით ერთად შეერთებამ. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ რომის პაპა თავისი შესანიშნავი ეპისტოლეთი მიიქცა აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი, ყველა ქრისტიანე ხალთა და ხელმწიფეთადმი. ყველას ურჩევდა ერთად შეერთებას თანახმად მაცხოვრის სიტყვისა, რომ „ᲗᲘᲧᲕᲜᲔᲗ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲛᲬᲧᲡᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲜᲘ“. აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელ ხალხთა ⸗ ყველა ქრისტიანეთაცა პაპა ურჩევდა, რომ ეცნოთ და მიეღოთ მარტო პაპის ეკკლესიის მეთაურობა და მტკიცედ დამდგარიყვნენ თავისს ტიბიკონზე. ყოველ ქრისტიანეს პირდებოდა მის ენაზე და მისი ტიბიკონისამებრ ღვთის ვედრების და წირვა-ლოცვის აღსრულებას.

პაპის ამ ეპისტოლეს პასუხი გასცა კონსტანტინეპოლის და სხვა პატრიარქებმა, რომელთაც დაამტკიცეს შემცდარი აზრი პაპისა და არა კეთილი მიზანი ყველა აღმსარებელ ქრისტიანეთა ერთად შეერთებისა.

ამის შემდეგ ამავე საგნის შესახებ ინგლისში მოხდა კრება სწავლულთა, რომელნიც ფიქრობდნენ ღვთის-მსახურებით და სარწმუნოებით ხალხთა ერთი-ერთმანეთთან დაახლოვებას. მრავალი შესანიშნავი მსჯელობანი წარმოსთქვეს, მრავალნი მოფიქრებანი გამოაშკარავეს, მაგრამ კითხვა ისევ კითხვად დარჩა და საქმე კი ბევრი არა გაკეთებულა რა. ყველა გრძნობს და ყველა მიმხვდარია, რომ ეხლანდელი მდგომარეობა ხალხთა სარწმუნოების მხრით, მათი ასე დაცალკალკევება და ერთი-ერთმანერთისაგან დაშორება არ არის რიგიანი და სასურველი. თუმცა ზოგიერთებს დიდი იმედი აქვსთ სხვა-და-სხვა აღსარების ქრისტიანეთა ერთად შეთანხმებისა, მაგრამ დიდი დრო გაივლის კიდევ, რომ ეს სასურველი შეთანხმება არ მოხდება და არ მოხდება იმიტომ, რომ ამ შეთანხმებას და შეერთებას ხელს უშლის პოლიტიკა. ამ პოლიტიკით საქმეა გაჭირვებული—ყველგან არა თუ სხვა-და-სხვა აღმსარებელ ქრისტიანეთა შორის, არამედ ერთ მორწმუნე ხალხთა შორისაც. რომ ის სასურველი დრო დამდგარიყო და მაცხოვრის სიტყვები „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ სისრულეში მოეყვანათ ეხლანდელი საუკუნის ქრისტიანეთა, შეიძლება აღარც კი ყოფილიყო საჭირო დღევანდელი საშიშარი და საოცარი შეიარაღება ყველა სახელმწიფოთა ერთი-ერთმანერთის საწინააღმდეგოდ და ასაოხრებლად. მაგრამ როდის მოვესწრებით იმ დროს და იმ ჟამს, რომ ერთად ვაქებდეთ და ერთად ვადიდებდეთ ღმერთსა და ქრისტეს მცნებისამებრ ყოველ კაცს ჩვენს ძმად ვრაცხდეთ!...

მარტო ჩვენ სახელმწიფოში ცხოვრების მიმდინარეობას რომ გადავავლოთ თვალი ამ ბოლო დროს, შევამჩნევთ, რომ დიდი შესანიშნავი ცვლილებანი მოხდა განსაკუთრებით სასულიერო უწყებაში. სამოცდა-ოთხ ეპარქიას მოემატა ერთი ახალი ეპარქია—ომსკისა. მოსაწყობად ამ ახალ ეპარქიაში არქიერის სახლისათვის, კათედრის ტაძრისა და კონსისტორიისათვის დაინიშნა სახელმწიფო ხაზინიდან ათი ათასი მანეთი და გადაწყვეტილია სახელმწიფო ხაზინიდგანვე არქიერის სასახლისათვის ყოველ წლობით 12,000 მანეთი, კათედრის ტაძრის მოსამსახურეთათვის 5435 მანეთი და კანსისტორიისათვის 15,675 მ. ამისთანავე კანსისტორიებისათვის გამოსულია ხაზინიდან ციმბირის გუბერნიებში—იაკუტსკში 14625 და ბლაღოვესჩენსკში 17,225 მ., ვლადიკავკავის არქიერის სასახლისათვის 12,000 და კანსისტორიისათვის 15675 მან. იაკუტსკში და ტობოლსკში რადგან ერის კაცთა შორის ნასწავლი კაცები ვერ უშოვიათ, უმრავლო მღვდლები ⸗ დიაკვნები დაუყენებიათ კანსისტორიებში ჩინოვნიკების ადგილზე. ჩვენში რომ კანსისტორიების დაარსებას ისურვებდენ, იმედია, რამდენიმე აკადემიელი და სემინარიელი იშოვიდა ადგილს.

მართებლობის ყურადღება 1892 წლიდამ სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ თან-და-თან მატულობს. 1893 წელში დაინიშნა ხაზინიდან სამღვდელოების ჯამაგირად 250,000 მან., 1894 წელში - ნახევარი მილიონი, 1895 წელში — კიდევ ნახევარი მილიონი. ეს ფულები ენიშნება უწმ. სინოდის განჩინებით სამღვდელოებას იმისთანა ადგილებში, სადაც მიუცილებლად საჭირო არის სახელმწიფო ჯამაგირის დანიშვნა. ამ ხსენებული ფულებით 1893 წელში ჯამაგირები დაენიშნა 600 კრებულს, 1894 წელში—1300 კრებულს, 1895 წელში—1500 კრებულს, ასე რომ დღემდის 3400 კრებულს აქვს დანიშნული ჯამაგირი. ამ გამოსული ფულებიდამ 2000 მანეთამდე საქართველოს საექსარხოსოშიაც დაენიშნა რამოდენიმე სამრევლო ეკკლესიების კრებულთ.

წარსულს წელში შესანიშნავია დედათა მონასტრების გამრავლება. პირველად იხსნება დედათა უბრალო სავანეები და ბოლოს ისე მშვენივრად მოეწყობიან ეს სავანეები, რომ იგინი უწმიდესი სინოდისაგან მონასტრებად მტკიცდებიან.

სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთა მდგომარეობა თან-და-თან უმჯობესდება. ყოველ სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში დიდი ხნის ნამსახურს მასწავლებელს, აკადემიაში კურს დამთავრებულს თორმეტ გაკვეთილზე ენიშნება 1250 მ. სემინარიელს—700 მ. სასულიერო სემინარიაში ორს უფროს მასწავლებელს ენიშნება მომეტებული ჯამაგირები. 56 სემინარიას წარსულ წელში მიემატა ორი —ერთი გაიხსნა კრასნოიარსკში და მეორე არდონში სამისსიონერო სემინარია.

ხალხის განათლების საქმე მართლმადიდებელის რელიგიურის მიმართულებით, წინდაყენებული წარსულს წლებში, დღესაც კეთილათ წარემართების და ახალმა იმპერატორმა უმეტესი ყურადღება მიაქცია მის კეთილ განგრძობაზე. ჯერეთ კიდევ განსვენებული იმპერატორის დროს 1894 წელს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დასაარსებლათ გადაიდვა სახელმწიფო ხაზინიდამ 350,000 მან. ამ ფულებმა უფრო იმატა ამ ბოლო დროს. 16 დეკემბერს, 1894 წელს გარდაწყდა მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდამ სამრევლო სკოლების სასარგებლოდ 1895 წლისათვის 700,000 მ., 5 იან. 1895 წ. უმაღლესად ნაბრძანებია გადიდვას სახელმწიფო ხაზინიდამ 3,279,145 მან:. ყოველ წლობით 1 იანვრიდან 1896 წლისა. ამ ფულებიდამ დაინიშნოს: ა) 1,170, 625 მან. არსებულისა და ახლად გახსნილი სკოლების შესანახად; ბ) 1,629,000 მ. ორ-კლასიანი სასწავლებლების გასახსნელად და შესანახავად, რომელ სასწავლებლებშიაც უნდა მომზადდენ წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლები, გ) 141,500 მან. — ეპარხიალურ სკოლების მეთვალყურეთა ჯამაგირათ და დ) 338,020 მ. სკოლების სამაზრო ინსპექციისათვის. უმაღლესი მართებლობის ამგვარი მიმართულება და ხელმწიფის მოწყალებას აღტაცებული სიხარულით მიეგება სამღვდელოება და ხალხის განათლების მზრუნველნი და, უეჭველია, სამრევლო შკოლები აღორძინდებიან და ჯეროვან ნაყოფს მოიტანენ.

ამა წლის 1 იანვრიდან ნება მიეცა უწმ. სინოდთან დაარსებულს სასწავლებლების უმთავრეს საბჭოს გამოსცეს ყოველ თვიური ჟურნალი, სახელწოდებით „ხალხის განათლება", რომელი ჟურნალიც სპეციალურ ორგანოთ იქნება სამრევლო სკოლებთათვის მთელს რუსეთში.

სამრევლო სკოლას გარდა ხალხის განათლებისათვის განზრახულია დაარსება სამკითხველოების და წიგნთ-საცავებისა. ეს უკანასკნელი დიდ შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოებას სწავლა-განათლების საქმეში. ჯერ-ჯერობით თუმცა მრავალს ადგილას არ არის ამისთანა სამკითხველოები, მაგრამ შემდეგში უნდა მოველოდეთ მათ გამრავლებას და, იმედია, ჯეროვან ნაყოფს მოიტანენ ეს სამკითხველოები.

ერთი სიტყვით რუსეთის სახელმწიფოში სასულიეროს მხრით დიდი წარმატება არის შემჩნეული, მაგრამ განაპირა მხარეებში ეს წარმატება იმდენათ შესამჩნევი არ არის. დამაბრკოლებელი მიზეზი ამისი ბევრია და, სხვათა შორის, განსაკუთრებული წეს-წყობილება ამ განაპირა კუთხეებისა. ეს განსაკუთრებული წეს-წყობილებანი ამ მხარეებისა, რომლის წყალობით ზოგიერთი ფრიად სასარგებლო კანონ-მდებლობა თავის დროზე ვერ ახწევს ამ ადგილებს, და ზარალს აძლევს ხალხს და საზოგადოების წინმსვლელობის საქმეს. მაგალ. რამდენ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ხალხს ნაფიც მსაჯულთა შემოღება ჩვენ სასამართლოებში? რამდენად გაუადვილებდა საზოგადოებას მეტრიკების მოწმობათა მ... ღების საქმეს და სამსჯავრო საქმეებსაც, რომ ღმერთ... ენებებია დ ყოველს ეპარქიაში კანსისტორა გახსნილ...

ყო? რა კარგი იქნებოდა, რომ ეკლესიების შტატის წყობილება, დაარსებული ყველგან რუსეთის შუაგულ ეპარქიებში, ჩვენშიდაც შემოეღოთ? რამდენია ამისთანა წეს-წყობილება, რომელსაც მოკლებულია განაპირა მხარეები და რა მიზეისათვის, კაცმა არ იცის. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ყველა ეს განსაკუთრებული წეს-წყობილებანი არიან დაარსებულნი განაპირა ადგილებში მკვიდრ მცხოვრებთა სასარგებლოთო. მაგრამ საქმეს რომ ჩაკვირდები კაცი, ტყობილობ, რომ ამ საზოგადო და სასარგებლო კანონმდებლობას სულ ცოტა მიზეზები ეღობებიან წინ, რომ იგი განაპირა მხარეებშიაც იქმნეს შემოღებული...

დეკ. დ. ღამბაშიძე

(გაგრძელება იქნება).

გადასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამისა ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში.

ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რომ განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გვამის გასვენება ქუთაისის საკრებულო ტაძრიდან გელათის მონასტერში გადადებული იყო შემდეგი დროისათვის, ვინაიდგან დიდი თოვლისა გამო გზა ქუთაისსა და გელათს შორის სრულებით შეკრული იყო. დაბეჯითებით არავინ იცოდა, თუ როდეს გაიხსნებოდა გზა. ამის გამო განსვენებულის გვამი დასვენებული იყო ქუთაისის საკრებულო ტაძარში სამი თებერვლიდან ამ მარტის თვის 10-დე. ვინაიდგან ცუდი ამიდების გამო თოვლი არ დნებოდა, ზომები იქმნა მიღებული გზების გასაწმენდათ და კიდეც გადასწყვიტეს განსვენებულის გვამის ქუთაისის კათედრის ტაძრიდან გელათის მონასტერში გადასვენება ათ მარტისათვის,

ეს გარემოება საზოგადოებამ ადგილობრივი გაზეთების საშუალებით შეიტყო. ჩვენი საყვარელი განსვენებული მღვდელთ-მთავრის გვამის ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან გელათის მონასტერში გასვენებაზე დასასწრებლად საქართველოს ყოველი კუთხიდან იწყო დენა როგორც სამღვდელოებამ, ისე სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებმა. რვა მარტს ქუთაისში მობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი, მრავალი სამღვდელოება იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებიდგან და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი. ცხრა მარტს, ღამის მატარებლით მობრძანდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი თბილისიდან. ამავე დღეს შაბათს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გრიგოლი თავისი კრებულით. წირვის და პანაშვიდის დროს მთელი ტაძარი და ტაძრის გალავანი სავსე იყო განსვენებულის ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის პატივსაცემლად მომსვლელთაგან.

არქიერთან ერთად თანამწირველნი იყვნენ ნახარებოვის მონასტრის არქიმანდრიტი ამბროსი, ხობის მონასტრისა — სიმონი, შემოქმედისა — იონა, ნათლისმცემლისა — გერასიმე, ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გ. ბ. ცაგარეიშვილი, ფოთისა — გრიგორი მაჭაროვი, დეკანოზი რაჟდენ გიგაუროვი, დეკანოზები ი. კიკაჩეიშვილი და ი, ჭეიშვილი; პროტოდი. აკონნი იოსებ შარაშიძე და ლუკა ხოშტარია, დიაკონნი გეგეჭკორი და ისიდორე სვანაძე. წირვაზე გალობდა არქიერის მგალობელთა გუნდი. განიცადენის დროს განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სამსახურის და მოღვაწეობის შესახებ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ნახარეობოვის მონასტრის არქიმანდრიტმა ამბროსიმ. წირვის გათავების შემდეგ ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა მათმა მეუ-

ფებამ გრიგორიმ, ამ სიტყვამ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია და მრავალს მსმენელს ცრემლები აღვრევინა. არც ერთი სიტყვა, რაც დღემდის იყო წარმოთქმული განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სამსახურის და მოღვაწეობის შესახებ, არ შეხებია განსვენებულის მოღვაწეობის იმ მხარეს, რომელსაც შეეხო და ცხადათ აღნიშნა ყოვლად სამღვდელო გრიგორმა, ამისათვის ამ სიტყვამ მეტის მეტი კაი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. გაათავა თუ არა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ თავისი სიტყვა, ტაძარში შემობრძანდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა ვლადიმირი განსვენებული მღვდელ-მთავრის გაბრიელზე პანაშვიდის გადასახდელად. პანაშვიდის გადახდის დროს ექსარხოსთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ყოვლად სამღვდელო გრიგორმა და ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა და მრავალმა სამღვდელოებამ მწირველ სამღვდელოებასთან ერთად. პანაშვიდზე დაესწრენ მრავალი წარჩინებულნი პირნი.

9 მარტს, დილის ათ საათზე, მათი მეუფება ექსარხოსი ვლადიმირი შებრძანდა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში, მეოთხე კლასის ორივე განყოფილებაში გამოცადა მოწაფეები, შემდეგ შებრძანდა სასწავლებლის წიგნთ-საცავში და მერე წაბრძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონთან, სადაც ბრძანდებოდა ბინად. შაფათ საღამოს მათმა მეუფებამ სასწავლებლის ტაძარში მოისმინა ღამისთევითი ცისკარი და შემდეგ ინახულა სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი დიმიტრი, დაათვალიერა სემინარიის დროებითი სადგომი და შემდეგ ბინაზე წაბრძანდა.

ამ დღეს კიდევ დიდძალი ხალხი მოაწყდა ქუთაისს როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან.

მთელს საზოგადოებას აოცებდა და აკვირვებდა ჯერეთ ხმები და ბოლოს ამ გავრცელებული ხმების სინამდვილე ერთი გარემოების შესახებ, რომელიც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ როგორც არა ჩვეულებრივი მოვლენა. აი საქმე რაში გახლავსთ: გზების შეკვრის გამო მოსალოდნელი იყო, რომ განსვენებულის ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის გვამი კაი ხანს დარჩებოდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში და ამიტომ ისე მომზადებული იყო კუბო, რომ, თუ ვინიცობაა განსვენებულის გვამი ხრწნას დაიწყებდა, ეს კუბო ისე დაეკავშირებიათ, რომ იქიდან სუნი არ გამოსცლიყო. ყოვლად სამღვდელო გარდაიცვალა 25 თებერვალს, ნაშუალამევის 1 საათზე. იმ დროდან მოკიდებული კუბო თავ-ახდილი იდგა ტაძარში. ეკკლესია, თითქმის, ყოველ დღე ისე სავსე იყო ხოლმე ხალხით, რომ შიგ შესვლა უჭირდა კაცს. გაიარა კვირეებმა, თვემ და თვენახევარმა, მაგრამ განსვენებულის გვამს არავითარი ნიშანი ხრწნისა არ ეტყობა. მრავალნი პირნი ცდილობდენ ყნოსვით შეეტყოთ მცირე რამ ნიშანი ხრწნილებისა, მაგრამ არა თუ უბრალო კაცები, თვით გამოჩენილნი ექიმებიც გაოცებულნი არიან, რომ თვე ნახევრის განმავლობაში განსვენებულის გვამს არავითარი ნიშანი ხრწნილებისა არ ემჩნევა რა. ეს გარემოება მეტის მეტად მოქმედებს ყველაზე. ის ვაჟ-ბატონებიც კი განცვიფრებულნი არიან ამ მოვლენით, რომელნიც უხრწნელობას ეჭვის თვალით უყურებენ. აქ სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ რა ჰაერი იქნებოდა ტაძარში, რომელიც ყოველ დღე დილიდან საღამომდე სავსე იყო ხოლმე ხალხით. ამ მოვლენის შესახებ, თუ ვიცოცხლეთ, კიდევ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

გათენდა ათი მარტი, დილის შვიდი საათია, მთელი ღამე წვიმს, ქუჩებში უზომო ტალახია, ცა მოღრუბლულია. ყოველს ოჯახში და ქუჩებში რაღაცა მოძრაობაა. ქალი, კაცი და ბავშვები მიესწრაფებიან ქუთაისის საკრებულო ტაძრისაკენ. მთელი მოედანი ამ ტაძრისა და ამ ტაძრიდან მოკიდებული თბილისის ქუჩა თვით რკინის გზის სადგურამდე გაჭედილია ხალხით. ხალხის მოძრაობა სწორეთ მდინარეების ზღვებთან შეერთებას მოგაგონებსთ. მერვე

საათის ნახევარია. ქუთაისის ყველა ეკკლესიების ზარების სამგლოვიარო ხმა ატყობინებს საზოგადოებას, რომ მოახლოვდა დრო მათ საყვარელ მწყემსმთავართან საუკუნოთ გამოთხოვებისა. დღემდის მისი სამწყსო მათი მეუფების გვამის ხილვით მაინც ნუგეშობდა. დღეის იქით ამ გვამსაც ველარ იხილავს. ზარების სამწუხარო ხმა ჟრუანტელს ჰგვრის ყოველ კაცს წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლათ და ცრემლებს იწვევს თვალთაგან. შემოსილი სამღვდელოება წყობით გაემწკრივა იმ ქუჩაზე, რომელზედაც უნდა გაევლო პროცესიას. საზოგადოების ყველა წარმომადგენლებმა თავთავისი ადგილი დაიკავეს. რკინის გზის სადგურიდან მოკიდებული ფრანციის სასტუმროამდე ქუჩის ორივე მხრით ჩამწკრივებულნი არიან ქუთაისის ყველა სასწავლებლების მოსწავლენი მათი მასწავლებლებით და ადგილობითი სამხედრო ჯარი. დილის ცხრა საათის ნახევარია. ტაძრიდან გამობრძანდენ შემოსილი მღვდელთ-მთავრები, რომელთაც წინ მოუძღვის შემოსილი სამღვდელოება. მათ შემდეგ განსვენებულს მოასვენებენ არქიმანდრიტები: ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი დიმიტრი, ხოპის მონასტრისა—სიმონ, ნახარებოვისა—ამბროსი, შემოქმედისა—იონა, ჭელიშისა—ნიკიფორე; დეკანოზები გ. ცაგარეიშვილი და დ. ღამ-ძე. ამ დროს დამსწრე საზოგადოების სულის მდგომარეობის კალმით აღწერა ყ-დ შეუძლებელია. არ გვჯერა, რომ ოდესმე ამნაირი გლოვით და მწუხარებით ქუთაისში საზოგადოება ვინმე გარდაცვალებულს გამოთხოვებოდეს, ან ამ ნაირი დიდებით. ქუჩებში ყველგან მშვენიერი წესიერებაა. პროცესია გაემგზავრა რკინის გზის სადგურისკენ. განსვენებულის კუბოს რიგ-რიგათ მიასვენებენ მღვდლები და დეკანოზები. კუბო მხრით მიაქვთ. სადგურზე მოვიდა პროცესია ათ საათზე. აქ დამზადებულია საგანგებო მატარებელი. ერთ გაშლილ ვაგონზე საუცხოოთ მოწყობილია ბალდახინი. ამ ვაგონზე დაასვენეს მიცვალებულის კუბო და გარშემო შემოუდგნენ შემოსილი სამღვდელოება. ამ ბალდახინს გვერდით აქვს ეკკლესია—ვაგონი.

ეხლა კი ცოტათი აირ-დაირია წესი. ყველაზე სურს გაყვეს მატარებელს, მაგრამ განა ეს შეიძლება! ამ მატარებლით შეიძლებოდა 250 კაცის გადაყვანა: ერთი ვაგონი სავსეა მიცვალებულის ნათესავებით, დანარჩენებში არ ტევია მარტო სამღვდელოება და საზოგადოების წარმომადგენელნი. ხალხი დაამშვიდეს, რომ ამ დღეს გელათამდე კიდევ ოთხჯერ წავა-წამოვა მატარებელიო. მრავალი ხალხი მიდის ფეხით და ეტლებით. დაიძრა მატარებელი, მაგრამ ნახევარ ვერსის მანძილზე მოშორებით შეჩერდა, რადგან ლოკომოტივმა ვერ დასძრა ვაგონები აღმართზე. უკანიდან მოაშველეს მეორე ლოკომოტივი. თერთმეტი საათი შესრულდა, როცა მატარებელი გელათის რკინის გზის სადგურთან მივიდა. მღვდელთ-მთავრები და მწირველი სამღვდელოება ეტლებით გაემგზავრენ სადგურიდგან გელათში, სადაც მისვლისათანავე წირვას შეუდგენ. მწირველი ბრძანდებოდა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქარ. ექსარხოსი ვლადიმირი, ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, არქიმანდრიტები: სერაფიონი, დიმიტრი, სიმონ, ბესარიონი, ამბროსი, ნიკიფორე, დეკანოზები მ. ცაგარეიშვილი, რაჟ. გიგაურავი, დ. ღამბაშიძე, მღვ.-მონაზ. სიმონ. წირვაზე გალობდა არქიერის მგალობელთა გუნდი და მეორეს მხრით ჩვენი გამოჩენილი მგალობლები ბ.ბ. დუმბაძე, ჭალაგანიძე და ხუნდაძე. წირვის დაწყების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ პროცესიამ მოატანა მონასტერში და კუბო შემოასვენეს და დაასვენეს ტაძარში, ამბიონის პირდაპირ. ვეებერთელა ტაძარი ჭ კედლის გალერეიებიც გაიჭედა ხალხით.

განიცადენის დროს სიტყვის თქმის ნება მიიღო ბლაღ. მღვდელმა მამა ერერმალოზ კანდელაკმა, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებული მღვდელ-მთავრის შესახებ. წირვის გათავების შემდეგ შეასრულეს პანაშვიდი. პანაშვიდის გამთავეს ფრიად შესანიშნავი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართ. ექსარხოსმა ვლადიმირმა. საზოგადოთ მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისაგან წარმოთქმული სიტყვანი და მოძღვრებანი შესანიშნავნი არიან მჭევრ-მეტყველობის მხრით. მათმა მეუფებამ პირველად მოიყვანა პატრიარქის იაკობის სიტყვანი: „ჰა მიუწოდა იაკობ ძეთა თვისთა და რქვა მათ შემოკრბით, რათა მოგითხრა თქვენ, რაჲ შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა. შემოკრბით, ჰ

ისმინეთ ძეთა იაკობისათა, ისმინეთ ისრაილ, მამისა თქვენისა". შემდეგ მათმა მეუფებამ ხელოვნურად დაასურათა 45 წლის სამსახური და მოღვაწეობა განსვენებული მღვდელ-მთავრის გაბრიელისა. მოიხსენა პატრიარქის იაკობის ცხოვრების უკანასკნელი დღენი და წარმოსთქვა: „დასცხრა იაკობ მამცნებელი ძეთა მისთა და ამხმელი ფერხთა ცხედარსა ზედა მოკვდა. სტიროდენ და გლოვდენ მას ძენი მისნი და ისრაილ". მათმა მეუფებამ განსვენებული მღვდელ-მთავარი შეადარა პატრიარქს იაკობს, რომლის გარდაცვალებას გლოვდენ და სტიროდნენ ძენი მისნი და მთელი ისრაილი. ამ გლოვას და ტირილს შეადარა იმერეთის ეპარქიის სამწყსოის და მთელი საქართველოს საზოგადო ტირილი და გლოვა განსვენებული მღვდელთ-მთავრის გაბრიელის შესახებ. როცა ასე დაასურათა მთელი საქართველოს გლოვა და მწუხარება, შემდეგ მათი მეუფება მიიქცა სამღვდელოებისა და საზოგადოებისადმი და რქვა: გრძნობ თუ არა იმერეთის სამწყსო, თუ როგორი მღვდელთ-მთავარი დაჰკარგე შენ დღეს? ამ სიტყვების პასუხი იყო ირგვლივ შემოხვეული სამღვდელოების და საზოგადოების თვალთაგან ღელესავით წარმოდენილი ცრემლები. *) ამ სიტყვამ მეტის მეტი კარგი შთაბეჭდილება იქონია ხალხზე. სიტყვის გათავების შემდეგ მათი მეუფება მივიდა კუბოსთან და მუხლმოდრეკით თაყვანი სცა განსვენებულის გვამსა და ეამბორა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ეპისკ. ბესარიონმა. პანაშვიდი და ყველა წესი გათავდა ნაშუადღევის 4 საათზე. მათი მეუფება წარჩინებული სამღვდელოებითურთ გამობრძანდა ტაძრიდან და შებრძანდა განსვენებული ყოვლად სამღვდელოს ახლად აღშენებულ სახლში, სადაც დამზადებული იყო ჩაი და საუზმე. მათი მეუფების ტაძრიდან გამობრძანების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ქუთ. მაზრის თავად-აზნაურ. წინამძღოლმა თ. დ. ნიჟარაძემ, ნ. ტ. დადიანმა, ი. გრ. ჭავჭავაძემ, ვ. მაჩაბელმა, თ. ხუსკივაძემ, დუმბაძემ, დიაკონმა რაჟდენ ხუნდაძემ და სხ. მრავალთა. ამ სიტყვებიდან ზოგიერთ შესანიშნავს და საყურადღებოს შემდეგში დავბეჭდავთ.

(გაგრძელება იქნება),

*) სამწუხაროთ უმეტესობას რუსული ენის უცოდინარობისა გამო არ ესმოდა მათი მეუფების სიტყვა, ამიტომაც მრავალმა პირებმა გვთხოვეს ამ სიტყვის ქართულათ დაბეჭდვა როგორც გაზეთში, ისე წიგნაკად. დღეს ჩვენ ვერ ვასრულებთ ამ თხოვნას, ვინაიდან მათმა მეუფებამ ზეპირათ წარმოთქვა ეს სიტყვა. იმედი გვაქვს, რომ შემდეგში დაიწერება ეს სიტყვა და დაიბეჭდება და მაშინ ჩვენც ვისარგებლებთ.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებისა გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ბევრი სამძიმრის წერილები და ტელეგრამები მოგვდის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან. სხვათა შორის ჩვენ წერილი მივიღეთ უგანათლებულეს კნეინა ნიდიტორასაგან, რომელიც გვწერს: „როდესაც დიდათ სამწუხარო ამბავი — ჩვენი მღვდელთ-მთავრის გარდაცვალება, შევიტყეთ, ჩემმა პატარა დავითმა ყოვლად სამღვდელოს ნათლულმა, როდესაც მას უჩვენეთ სურათი ყოვლად სამღვდელოსი და უთხარით, გარდაიცვალაო, იმ პატარა ბავშვმაც კი იმწუხარა. ყოვლად სამღვდელო ამ ბოლო დროს ძლიერ სუსტად იყო, მაგრამ მაინც ძლიერ სანუგეშო იყო იგი ჩვენთვის. არ ვიცი, როგორ ვცე პატივი ამ ჩვენთვის ყოვლად ძვირფას მღვდელ-მთავარს. გთხოვთ თქვენ მოახდინოთ განკარგულება, რომ მის საფლავის წინ ხატთან იყოს ანთებული ლამპადა მთელი წლის განმავლობაში დღე და ღამე განუწყვეტლივ და ყოველ სამკვირის შესრულების დროს პანაშვიდს გარდიხდიდენ. ზეთისა და სანთლისთვის და სხვა საჭირო ფულს მოგართმევთ ამ წერილთანვე".

სურვილი უგანათლებულესი კნეინა ნიდიტორასი ასრულებულ იქნება სინამდვილით.

მიტროპოლიტი დავითი, მმართველი იმერეთის ეპარქიისა.

(გაგრძელება *).

1852 წელს, დეკემბრის თვეში მიტროპოლიტი წავიდა მარტვილის მონასტერში თავისი ნათლიის ჭყონდიდელის ანტონის დასასაფლავებლად. აქ მიტროპოლიტი გაცივდა და გახდა ავად ცივებით. როცა მიტროპოლიტი ქუთაისში დაბრუნდა, ნაცვლად იმისა რომ ამ სენისაგან თავი მოერჩინა, მან კიდევ უფრო გაძლიერა ეს ავადმყოფობა თავისი მოღვაწეობით და შრომით. ბოლოს ეს სნეულება ისე გაძლიერდა, რომ მიტროპოლიტი ჩააწვინა ლოგინში. ბოლოს მოიწვიეს ექიმი; ამ დროს მიტროპოლიტი ძლიერ ცუდს მდგომარეობაში იყო, მაგრამ რადგან იგი ძლიერ ტანმრთელი კაცი იყო, ამიტომ დიდხანს გაუძლო ამ სენს. თუმცა მიტროპოლიტი ძლიერ ავად იყო, მაგრამ მის მოკეთეო და ნათესავებს კიდევ იმედი ჰქონდათ

მათი მეუფეების მორჩენისა. მიტროპოლიტი კი კარგად გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას და მუდამ მზად იყო მიგებებოდა სიკვდილს. მათმა მეუფებამ მოახდინა ყოველივე განკარგულება, როგორც თავისი ქონების, ისე თავისი დასაფლეკების შესახებ, დანიშნა საჭირო ფული თავის დასამარხავად. ორი დღის წინათ სიკვდილამდე, მიტროპოლიტმა ბრძანა წაეკითხათ მისთვის სულ-ხორცის განტევების ლოცვა. 14 თებერვალს, დილის 5 საათზე მიტროპოლიტმა საუკუნოდ განისვენა. უკანასკნელს წამამდე მიტროპოლიტს მეხსიერება და გონება არ დაკარგვია. თავის უკანასკნელს ანდერძში მათმა მეუფებამ დაიბარა გაესვენებინათ იგი როგორც ერთი უბრალო ბერი და მისი გვამი დაეკრძალათ არა ტაძარში, არამედ ჯრუჭის მონასტრის სასაფლაოზე, სადაც, მათ მეუფებას დიდის ხნიდამ მომზადებული ჰქონდა სასაფლაოს ქვა.

ბევრმა სამღვდელოებამ მოიყარა თავი მიტროპოლიტის გასვენების დღეს, მიწვეული იყო მახლობელი ეპარქიების მღვდელ-მთავარნი. წირვა და წესის აგება შესრულდა კათედრის ტაძარში, გორაზე ბაგრატის შესანიშნავი ტაძრის გვერდზედ მიშენებულ ეკლესიაში. შემდეგ გვამი მიტროპოლიტისა ქუთაისიდან წაასვენეს ჯრუჭის მონასტერში. ცუდი ამინდი იყო, მაგრამ რადგან გზა-ტკეცილი შორაპნიდან ულეკის გზით მიდიოდა, ამიტომ განსვენებულის გვამი ადვილი წასასვენებელი იყო. ერთი დღე იარეს და თითქმის ს. ბოსლევის სიახლოვეს დაადამდათ. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ყოვლად სამღვდელოს გვამი მიესვენებიათ ს. საწაბლეში და დამდგარიყვნენ ვისმეს ოჯახში. გაუხვიეს გზას და საწაბლეში მიადგენ ერთ გლეხს ზურაბ ჩუბინიძეს. ზურაბ ჩუბინიძე მთელს ამ სოფელში შესამჩნევი კაცი იყო. სახლი კარგი ჰქონდა და დიდის პატივისცემით მიუძღვა თავის სახლის კარებზე მიტროპოლიტის გვამს. გადმოასვენეს ეტლიდგან განსვენებულის გვამი და ოთახში უნდა შეესვენებიათ, მაგრამ კუბო კარებში არ შეეტია. არიქა ხერხი მოიტანეთ, დაიძახა ერთმა სამღვდელო პირმა, უნდა კარის ჩარჩოები გამოვხერხოთ, თორემ კუბო არ ეტევა კარებში. საჩქაროთ გამოხერხეს კარების ჩარჩოები და შეასვენეს კუბო. მეორე დღეს კუბო გამოასვენეს სახლიდამ და წაასვენეს ჯრუჭისკენ. პირზე ჯვარს ისახავდენ ყველანი, ვისაც გაგონილი ჰქონდა მიტროპოლიტის სიზმარი, რომელიც სინამდვილით აღსრულდა. წინდაწინ იყო სწორეთ განზრახული, რომ მიტროპოლიტის გვამი უმის ზურაბ ჩუბინიძის სახლში უნდა დარჩენილიყო ერთი დამე და ამით ეკურთხებია ამ კაცის ოჯახი. დიახ, სარწმუნოების მხრით შესამჩნევი იყო ზურაბ ჩუბინიძე, მაგრამ უმეტესი შესამჩნევია მისი შვილი გედევანი. ეს კაცი შესამჩნევია ქველ-მოქმედებით არა თუ მარტო შორაპნის მაზრაში არამედ მთელს ქუთაისის გუბერნიაში და შეგვიძლია ვსთქვათ, მთელს საქართველოშიაც. იქნება სთქვას ვინმემ, რომ აქვს და ამიტომ ჩადის ქველის საქმეებსო. მაგრამ ქველ-მოქმედება კაცისა სრულებით შეძლებაზე არ არის დამოკიდებული. აიღეთ თ. ნ. წერეთელი, ორ. ბელიანი, დიმ. გურიელი, ლ. მელიქოვი და სხვანი მრავალნი. თავიანთი ქონება ოხრად დატოვეს და ერთი მანეთიც არ გაიმეტეს საქველ-მოქმედო საქმეზე.

უკაცრავად, სიტყვას გარდავსცდით. საწაბლიდამ განსვენებული მიტროპოლიტი წაასვენეს საჩხერეს და საჩხერიდამ ჯრუჭში. გზაში ყველგან და განსაკუთრებით საჩხერეში და ჯრუჭში ხალხი დიდებულად ეგებებოდა მიცვალებულს. ზოგიერთებმა მოითხოვეს, რომ მიტროპოლიტის გვამი ტაძარში დაესაფლავებიათ.

როგორც განმანახლებელს ანუ, უკეთა ვსთქვათ, ჯრუჭის მონასტრის დამაარსებელს მიტროპოლიტს ყველაზე მომეტებული უფლება ჰქონდა, რომ მისი გვამი დაესაფლავებიათ იმ ტაძარში, სადაც განისვენებდენ მისი მამა და ძმები, მაგრამ მიტროპოლიტმა უარჰყო ესეთი პატივისცემა, როგორც ქრისტიანული მორჩილების, ისე თავის სამშობლოის სიყვარულისა გამო. მათ მეუფებას ბევრი უსიამოვნება შეხვდა თავადებისაგან, რომელნიც დაჯინებით ითხოვდენ ხოლმე თავიანთ გარდაცვალებულთა დასაფლავებას ჯრუჭის მონასტრის ტაძარში, სადაც სრულებით აღარ მოიპოვებოდა თავისუფა-

ლი ადგილი ახალ გარდაცვალებულთა დასამარხავად. ამიტომაც მიტროპოლიტმა დავითმა სიკვდილის წინად დაიბარა, რომ მისი გვამი დაესაფლავებიათ არა ტაძარში, არამედ გარეთ. ამითი მიტროპოლიტს სურდა დაემტკიცებია ხალხისათვის, რომ ჩვენს ხრწნილს სხეულს ყველაზე უფრო შეშვენის მორჩილება. განსვენებული მიტროპოლიტის მოხუცებულმა 80 წლის ძმამ, თავადმა სიმონმა, მისმა ძისწულმა, მინგრელიის მფლობელმა თავადმა და სხვა ნათესავებმა სინამდვილით აღსრულეს განსვენებულის ანდერძი. მიტროპოლიტის გვამი დაასაფლავეს მონასტრის ტაძრის მახლობლად. დასაფლავების დროს სრულებით არავინ მოუწვევიათ.

დეკ. დ. ღამბაშიძე

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

ლეჩხუმიდან.

წლევანდელმა ზამთარმა სწორედ დიდი უბედურება მიაყენა ხალხს ყველგან და განსაკუთრებით ლეჩხუმში. ჭყვიშის საზოგადოებაში ს. ჭყვიშისავე სოფლის თავში 20 იანვარს ღამით, მეცხრე საათი იქნებოდა, წამოვიდა თოვლის ზვავი, ეცა ეკკლესიას და დაანგრია. ეს იყო დაბეჭინის ეკკლესიის ზედმიწერილი ხის ეკკლესია, საკმაოდ მორთული ჩალანგარა მოხატული თავის შესამოსლიანათ გასრისა ზვავმა; შეჩერებული ზვავის რამდენიმე ნახეთქი დაეტაკა გლეხის ჯინჭარაძის სავსე ბეღელს და ნალიას და წაიღო. შემდეგ სახლს ჩამოუქროლა, ნახევარი სახლი წაიღო; ადამიანები მკვდარ-ცოცხალი სახლის კუთხეში ნახეს. სიკვდილით არავინ მომკვდარა, მაგრამ სრულებით აღარაფერი გააჩნიათ. ზარალი 1000 მანეთამდე იქნება.

ალპანის საზოგადოებაში სოფ. საირმეს ოთხი მოსახლე გვარათ ალავიძე და ხურციძეები წაიღო ზვავმა. ერთი მოსახლის კაცი და ქალი გადარჩნენ, სამი მოსახლე და შვიდი ადამიანი მთელი საცხოვრებლით წაიღო ზვავმა და დაღუპა სამი ქალი, ორი კაცი და ორი აკვანის ბავშვი. ამნაირი უბედურება ლეჩხუმში ბევრი იქნება, მაგრამ ჯერეთ მისვლა-მოსვლა დიდი თოვლის გამო არ არის. სახლების დამტვრევა, საქონლის დახოცვა სიცივის გამო, შიმშილი და წყურვილი უზომოა, მაგრამ ამას ვინ ჩივა. იმედია ხალხს შემწეობას აღმოუჩენს მართებლობა.

მღვდელი ანტონ ქურციკიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! „მწყემსის" მესამე ნომერში მოთავსებულია მოწოდებითი მეთაური სტატია. ერთ დღეს ეს სტატია ნაცისკრევს წაუკითხე ეკკლესიაში მლოცველებს და განუმარტე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ შეწევნას თუმც ყველას საქმე აქვს გაჭირვებული ამ სასტიკი ზამთრისაგან, მაგრამ თავიანთი ღარიბი ჯიბიდან ექვსი მანეთი შეაგროვეს, რომელსაც ამასთანავე ვგზავნით თქვენთან. ამასთანავე თქვენის გამოცემის საშუალებით უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს თავიანთ დაზარალებულ მოყვასთათვის და რითაც შეიძლეს, მითი შემწეობა აღმოუჩინეს დაზარალებულთ.

მღვდელი იოანნე ციცქიშვილი.

ვასრულებთ პატივცემული მ. იოანნე ციცქიშვილის სურვილს და ჩვენის მხრით გულითად მადლობას ვსწირავთ, როგორც შემწირველთა პირთა, ისე თვით იოანნეს ასეთი დახმარების გულისათვის. რა გვიშავს, რომ ყველგან ასეთი თანამგრძნობნი მოძღვარნი გვყავდეს. საქართველოში თითქმის ორი ათასი მოძღვარი არის; ყველამ რომ ასეთი თანაგრძნობა გამოიჩინოს, მაშინ ამ მცირე შეწირულებათაგანაც დიდი ფული შედგება და ამით დიდი შემწეობა მიეცემა დაზარალებულთ.

რედაქტორი.

სოფ. ითხვისი.

10 თებერვალს 1896 წელსა.

ღრმა მწუხარებას ვგრძნობთ, როგორც მე კერძოთ, ისე საზოგადოთ რწმუნებულის ჩემდამო ეკკლესიის მრევლი საქართველოს მნათობის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებისა გამო. მწუხარება გაგვიორკეცდა მით უმეტეს, რომ სასტიკი ზამთრისა გამო ჯეროვანი თაყვანი ვერ ვეცით მის გვამს და ვერ დავესწარით განსვენების დღეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკკლესიის უმთავრესი შენობის დედა ბოძი, რომელზედაც იგი დამყარებულია.

ათ თებერვალს მთელმა მრევლმა, უმეტეს ათასი სულისა, თავი მოიყარა ეკკლესიაში, ადგილობითი კრებულმა სწირა. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადიხადა და შესაფერი სიტყვა—წარმოითქვა.

ბლაღოჩინი მღვდელი იოსებ წერეთელი.

რწმენა,

(რუსულიდან)

როცა განგებამ მის ღვთიურ მადლით
ინება ქვეყნად ჩვენი გაჩენა
უკვდავი სულით, თავისუფალით,
მაშინ ჩაგვბერა მან წმიდა რწმენა.

—

როს შფოთიანი ჭაბუკობის დროს
გზას წარსაწყმედსა ვადგევართ ჩვენა,
მაშინ სადგურსა მშვიდს, საიმედოს
ჩვენ მიგვაცურებს დიდი ის რწმენა!

—

როს მოვმწიფდებით, როს მოვხუცდებით,
როს სული ტანჯობს, აქვს გლოვა-წყენა,
ვით საყვარელი ძმა მოფერებით,
მარად გვამხნევებს იგივე რწმენა!...

—

ის გვიმსუბუქებს ცხოვრებას მწარეს,
შფოთსა და ზრუნვას, ჩვენ მით გვაქვს ლხენა...
დიდს მთებს გარდასვამს სხვა-და-სხვა მხარეს,
გმირთაც ისა ჰქმნის—ეგ გახლავს რწმენა!

—

როს ცხოვრებაში გვიჩნდება სენი,
მკურნალთ ვერძალუძთ რომლის მორჩენა,
როს დათვლილი გვაქვს ჩვენ მწარე დღენი,
ცვარია მაშინც ციური—რწმენა!...

—

როცა თავდება ჩვენი ცხოვრება,
სამარადისოდ როს გვებმის ენა...
ბედ ცივ სამარის განცისკროვნება
ადვილად უჩანს—ეგეც ის რწმენა...

—

ნათელი არი იგი ცხოვრების,
გზის მჩვენებელი ვარსკვლავი ზენა...
ნეტარება მას, ვის არ უქრების
ეგ დიდებული ნათელი—რწმენა!

ლ. გაგუა.

შესანიშნავი აზრები და შენიშვნები.

მარხულობა სხეულისა საზრდოა სულისთვის. (იოანნე ოქრ). რამდენსაც მოაკლებ სხეულს, იმდენ ძალას მიანიჭებ შენს სულს. (ბასილი დიდი.)

—

როცა ნავში ბევრი ბარგი არ არის, ის უფრო ადვილათ დაცურავს. აგრეთვე ადვილათ ლოცულობს კაცი, თუ მისი სხეული დამძიმებული არ არის ნამეტანი სმითა და ჭამით.
როგორც წყალში ცეცხლის დანთება არ შეიძლება, ისე უმარხულოთ მონანება არ შეიძლება. (იანნე ოქროპირი).

—

უძლურთათვის მარხულობის შემცირება შეიძლება ეკკლესიის კანონისამებრ და სწორეთ კანონიერია. ამისათვის რომ თუ კაცი უმარხოთაც უძლურია, რაღა საჭიროა ეს უძლურება მარხვით გავაძლიეროთ. როდესაც კაცის სხეული დაუძლურებულია. მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ იგი საზრდოთი გავაღონიეროთ და მით შევაძლებინოთ სხეულს სულის სამსახური. (მიტრ. ფილარეტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

დარიგებანი მცხოვრებთათვის სასელმძღვანელოდ მოსალოდნელ ავადმყოფობათა ასაცდენად.

წლევანდელი დიდი ზამთარი იმდენად დაანოტიონებს ჰაერს, რომ თუ მცხოვრებლებმა არ მიიღო მრავალგვარი ზომები, უსათუოდ გამოიწვევს სხვა-და-სხვა ავადმყოფობებს, მაგალითად, ქარებს, ფილტვების ანთებას, ჭვალებს' ხურვებას, ცივებას და სხვა. საჭიროა ყოველის ღონით ვეცადოთ სინოტივეს შემცირებას, როგორც სახლებში, აგრეთვე ეზო-გარემოებებში. ამისთვის სახლებში ვენოტივე შევამციროთ მომეტებული ცეცხლის ნთებით, ეზოების და სახლების გარშემო თხრილების გაყვანით, მივსცეთ გზა დამდნარ თოვლს; წინაადმდეგ შემთხვევაში დადგება ტბები ეზო-გარემოში და ნოტიო ჰაერი განუწყვეტლად იქნება სახლებში; თბილ ამინდების გამოსვლის შემდეგ კი ეს ტბები დალპება და უსათუოდ წაახდენს ჰაერს, გამოიწვევს ციებ-ცხელებას და სხვა მრავალ გვარ გადამდებ სენს. საზოგადოდ ძლიერ საჭიროა სიფაქიზე და სისუფთავე ეზოებისა, სახლებისა, ავეჯეულობ-სა და ყოველი ჭურჭლებისა. რაც შეეხება პირად მოფრთხილებას მცხოვრებთათვის, საჭიროა მოერიდოს გაცივებას, ამისთვის საჭიროა თბილი ტანსაცმელი, ღამე დაწოლის დროს თბილად დახურვა, რადგან მძინარე უფრო ადვილად გაცივდება. ამას გარდა უნდა ერიდონ ფეხების და ტანისამოსის დასველებას, ცივ და ნოტიან მიწაზედ ჯდომას და წოლას. პირდაპირ ქარს, გახურებულ სადგერიდგან უსათბურად გამოსვლას, ძლიერ ცივ წყლის სმას, გადაჭარბებულს სმ-ჭამას. თუ ყოველივე ეს დარიგებანი შეასრულეს მცხოვრებლებმა, შეგვიძლიან ვსთქვათ რომ ისინი წლეულს თავიდგან აიცდენენ მრავალ ავადმყოფობას.

რედაქციის პასუხი.

მლ. გ. აბულაძეს. თუ მრევლს ხატების ყიდვა არ შეეძლო, რაღათ თხოულობდენ ეკკლესიის «გაშტატებას. ჩვენ ყოველნაირი მხატვრობა გვაქვს, მაგრამ ყველას მოქმედ ვერ დავურიგებთ. ქალალდზედ დახატული მხატვრობა არ შეიძლება იხმარონ კანკელზედ.

ვინმე მედავითნეს. ამბობენ, რომ თქვენს ეპარქიაში ერთი მედავითნის ადგილზე ორი-სამია განწესებულიო. თუ ეს მართალია, რაღა საჭიროა არის, რომ დედაკაცები ასრულებდენ მედავითნის თანამდებობას ეკკლესიაში. მონაზონ ქალს ტრაპეზში შესელა აღარ ძალუული აქვს,

მლ. ი. ბ—ვას. მიიღებთ.

ბ. მლ. ს. ფა—ძეს. აბესაძეს გამოუგზავნით.

იოანნე ბერს. მე ვგონებ, რომ ათონში თქვენი დაწერილი ადრესით არ მოგვიდეს გაზეთი. თუ პირველი ნომერი მიიღეთ, მერე სხვა წიგნებსაც გამოგიგზავნით.

ტ. ინასარიძეს. პასუხს წერილით მიიღებთ.

მლ.-მონაზონს გ. ნახეთ ჩვენგან გამოცემული წიგნი ნათესაობის შესახებ.

შინაარსი.

ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი მანიფესტი.

სალიტერატურო განყოფილება: როგორ ვსცეთ პატივი განსვენებულს ჩვენს ძვირფასს მწყემსთ-მთავარს გაბრიელს? —საყურადღებო ამბები.—წასვენება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა ქუთაისის საკათედრო სობოროდან ბელათის მონასტერში და დასაფლავება.—ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებისა გამო.—მიტროპოლიტი დავითი, მმართველი იმერეთის ეპარქიისა.—„მწყემსი"-ს კორრესპონდენციები და წერილი რედაქციის მიმართ.—რწმენა (ლექსი).—შესანიშნავი აზრები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: დარიგებანი მცხოვრებთათვის სასელმძღვანელოდ მოსალოდნელ ავადმყოფობათა ასაცდენად.—რედაქციის პასუხი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Марта* 1896 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.